

ჯორის მანიერა

მშვიდობა

თქვენი ყველა საზრუნავი
მას მიანდეთ

მშვიდობა

თქვენი ყველა საზრუნავი მას მიანდეთ

ჰოდის
მაიერი

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
1. ხარობთ თუ არა მშვიდობით?	7
2. როგორ ვისიამოვნოთ სიმშვიდით	10
3. იყავი მართული მშვიდობით	13
4. რა არის ის, რაც მშვიდობას გაპარავთ?	17
5. რატომ ცდილობს სატანა მშვიდობა მოგპაროთ?	20
6. მორწმუნის პოზიცია განსაცდელების ჟამს	27
7. დღევანდელი დღით ცხოვრება	33
8. ლოცვას მოაქვს მშვიდობა	39

წინასიტყვაობა

„...ეძიებდეს მშვიდობას (ჰარმონიას, თავისუფლებას შიშისგან, ვნებათა ღელვისა და მორალური კონფლიქტებისაგან,) და მისკენ ისწრაფოდეს. არა უბრალოდ გსურდეთ მშვიდობიანი ურთიერთობის ქონა ღმერთთან, ახლობლებთან და საკუთარ თავთან, არამედ მისდიეთ, გაჰყევით მას!“ 1 პეტრე 3:11 (ინგლ. თარგმანი).

ვლოცულობ, რომ ეს წიგნი, დაწერილი მშვიდობის შესახებ, დაგეხმაროთ ხარობდეთ „... ღვთის მშვიდობით, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება...“ (ფილიპ. 4:7).

1

ხარობით თუ არა მშვიდობით?

ღმერთის თითოეული ხელახლად შობილი შვილი მშვიდობით აღსავსე ცხოვრებით უნდა ტკებოდეს. იოანეს სახარების 14:27-ში იესომ თქვა:

„მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს [საკუთარ] მშვიდობას გაძლევთ თქვენ. სოფელი რომ იძლევა ისე კი არ გაძლევთ. ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება. [ნუ მისცემთ საკუთარ თავს აღელვებისა და შეწუხების უფლებას; და ნუ მისცემთ თავს ნებართვას იყოთ მშიშარა, მხდალი და გაუბედავი.]“ (ინგლ. თარგმანი)

ეს მართლაც ძლიერი მუხლი გახლავთ წმიდა წერილიდან. გთხოვთ რამდენჯერმე წაიკითხოთ იგი,

შემდეგ კი სულ მცირე ხუთი წუთით დაფიქრდით მასზე, ისე, რომ თქვენი გონება ამ აზრით გაიჟღინთოს.

თავდაპირველად, მოდით ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მშვიდობა,რომელსაც იესო გეთავაზობს, განსაკუთრებული მშვიდობაა, და არა ისეთი, როგორსაც ქვეყნიერება იძლევა. რა სახის მშვიდობას გეთავაზობს ქვეყნიერება? იგი სიმშვიდის გარკვეულ გრძნობას გეთავაზობს. ეს მშვიდობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს, როცა ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც ვგეგმავთ. თუმცა, როდესაც ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ვგეგმავდით, ქვეყნიერებისეული მშვიდობა ძალიან სწრაფად გვტოვებს; იგი ფაქტიურად გარბის ჩვენგან. მის ადგილს კი დაუყოვნებლივ იკავებს „დანადვლიანების“ სული. ხოლო მშვიდობა, რომელსაც იესო იძლევა, მოქმედებს როგორც კარგ, ასევე ცუდ დროსაც, როგორც სიუხვის, ასევე გაჭირვების პერიოდშიც. მისი მშვიდობა ქარიშხლის შუაგულში მოხვედრის დროსაც კი მოქმედებს.

რამდენადაც ხორციელი გონება შეწუხებულია, შესანიშნავი იქნებოდა ყველაფერი ყოველთვის ჩვენი სურვილისამებრ რომ მიდიოდეს. გამოცდილებიდან გამომდინარე ვიცით, რომ რეალურ ცხოვრებაში ეს ასე არ ხდება. ვიყავი რა მორწმუნე, წლების მანძილზე ვცდილობდი ამემოქმედებინა რწმენა და ჩამომემორებინა ყველაფერი, რაც არ მომწონდა და რაზეც ვგრძნობდი, რომ კარგი არ იყო. ამის შედეგად უდიდესი იმედგაცრუება

ვიწვნიე. როდესაც ისეთი რაღაცის ამოქმედებას ცდილობ, რაც ვერანაირად ვერ და არ მოხდება, ეს ყოველთვის სასოწარკვეთაში გაგდებს. როდესაც ღმერთში გარკვეული გამოცდილება შევიძინე, როგორც იქნა გავაცნობიერე, რომ რწმენა ცხოვრებისეულ ქარიშხლებსა და განსაცდელებში წყნარად და მშვიდობიანად გავლისთვისაა საჭირო. უნდა შემეწყვიტა სატანისთვის მშვიდობის მოპარვის საშუალების მიცემა.

იოანეს სახარების 14:27-ში (ინგლ. თარგმანი) იესო ამბობს: „ნუ მისცემთ საკუთარ თავს აღელვებისა და შეწუხების უფლებას.“ რაც უფრო მეტად კკითხულობდი ამ მუხლს და ვფიქრობდი მასზე, მით უფრო მეტად ვაცნობიერებდი, რომ ღმერთი ბიბლიის მეშვეობით ცდილობდა ეთქვა ჩემთვის, რომ ამ ყველაფერს ადგილი ჰქონდა ჩემს ცხოვრებაში და ამის შეჩერება იყო საჭირო. იგივე მუხლში მან ასევე თქვა: „ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება.“

მარკოზის სახარების 4:40-ში ნათქვამია, რომ იესომ თავის მოწაფეებს რწმენის უქონლობის გამო უსაყვედურა, რადგან მათ სიმშვიდე დაკარგეს ქარიშხლის დროს. იესოს არ დაუკარგავს სიმშვიდე. მას გემის კიჩოზე ეძინა. მოწაფეები კი შიშისგან პანიკაში ჩაცვივდნენ და ძლიერ შეწუხდნენ.

თქვენ როგორ მოიქცეოდით? ისიამოვნებდით თუ არა სიმშვიდით იესოსთან ერთად გემის კიჩოზე? *თუ გულში მშვიდობა არ გექნებათ, ცხოვრებით ვერ დატკბებით.*

2

როგორ ვისიამოვნოთ სიმშვიდით

არც ერთი ნათქვამი სიტყვა არ არის გამოსადეგი, თუ მას მითითება არ მოყვება იმასთან დაკავშირებით, თუ „როგორ“ მივალწიოთ საწადელს. იმის თქმა, რომ სიმშვიდე გვჭირდება, მხოლოდ პირველი ნაბიჯია. თუმცა, პრაქტიკული რჩევის გარეშე, თუ როგორ მივალწიოთ სიმშვიდეს გულში, ეს ნაყოფს არ გამოიღებს.

ერთი რამ ძალიან დამეხმარა იმაში, რომ მშვიდობით სავსე ცხოვრებით სიამოვნება დამეწყო. გავაცნობიერე, რომ ყოველგვარ აზრს მოკლებული და უაღრესად იმედგამაცრუებელი იყო „მეცადა შემეცვალა ის, რისი შეცვლაც არ შემეძლო.“ თქვენც ასე ხომ არ იქცევით? გიცრუვდებით თუ არა იმედი, როდესაც ცდილობთ რაღაც მოახდინოთ თქვენს ცხოვრებაში? ღმერთს ყველაფრისთვის თავისი დრო აქვს. თქვენ უბრალოდ უნდა დაელოდოთ ამ დროს.

როგორც წესი, თქვენ მაინც ვერ მოახდენთ მოსახდენს დროზე ადრე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ დროზე ადრე მოახდინეთ რაღაც, ვერასოდეს ისიამოვნებთ მისით. ისწავლეთ დაელოდოთ ღმერთს. ამით პატივს მიაგებთ მას და მშვიდობას მოიპოვებთ თქვენთვის.

ცდილობთ შეუძლებელი გააკეთოთ? ცდილობთ თქვენს გარშემო მყოფი ადამიანები შეცვალოთ? ეს შესაძლოა თქვენი მეუღლე, თქვენი ერთ-ერთი შვილი, მეგობარი ან ნათესავი იყოს. ადამიანებს ადამიანების შეცვლა არ ძალუძთ. მხოლოდ ღმერთს შეუძლია შეაღწიოს ადამიანის გულში და შეცვლის სურვილი ჩასახოს მასში. თუ ჩვენ ადამიანებს მოთხოვნების წაყენებით ვაიძულებთ რაიმეს კეთებას, ამის შედეგად ჩვენც და ისინიც სიმშვიდეს დაგვკარგავთ. ადამიანებს თავისუფლება სჭირდებათ. მათ სივრცე სჭირდებათ მოძრაობისთვის.

ჩვენი ქორწინების რამდენიმე წლის განმავლობაში ვცდილობდი ჩემი მეუღლე დეივი, მეიძულებინა გოლფის თამაშისთვის თავი დაენებებინა. ვფიქრობდი, რომ მეტისმეტად ბევრს თამაშობდა, მე კი უფრო მეტი დროის გატარება მსურდა მასთან. ყველაფერი ვცადე, რაც კი შეიძლებოდა. ყველა ხრიკი გამოვიყენე. ვიბუტებოდი, გიჟივით ვიქცეოდი, ვცდილობდი დამერწმუნებინა, წყნარადაც მივუღექი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ყოველ ჯერზე იმედგაცრუებას ვაწყდებოდი. დროდადრო იგი ნებდებოდა და გარკვეული დროის განმავლობაში აღარ თამაშობდა. საინტერესო კი ის ფაქტი გახლდათ,

რომ თუმცა ასეთ მომენტებში ჩემსას ვაღწევდი, ეს მაინც არ მანიჭებდა სიმშვიდეს. გულში სიმშვიდე მაინც არ მქონდა, რამეთუ საწადელის მიღწევას არასწორი ხერხებით ვცდილობდი. თუ ცდილობთ ვიღაც აიძულოთ, რომ შეიცვალოს, ეს სიმშვიდეს მოგპარავთ.

მოგდით თუ არა გული საკუთარ თავზე იმის გამო, რომ იმ სულიერ დონეზე არ იმყოფებით, რომელზეც გსურთ ყოფნა? ცდილობთ თუ არა საკუთარი თავის შეცვლას? თქვენ, უდავოდ, სულიწმიდასთან თანამშრომლობა გჭირდებათ იმასთან დაკავშირებით, რასაც იგი თქვენს ცხოვრებაში აკეთებს. მას სრულყოფის ან მოწიფულობისაკენ მიჰყავხართ. ამას თქვენ თქვენით ვერ გააკეთებთ. ეს კიდევ ერთი სფერო გახლავთ, სადაც იმის გაკეთებას ვცდილობთ, რაც ჩვენს ძალებს აღემატება.

დარწმუნებული ვარ, თქვენთვის გასაგებია, რომ სრულიად ბუნებრივია, ეცადო შეცვალო ის, რაც არ მოგწონთ. მოდით ვიყოთ რეალისტები. მივალწიეთ თუ არა გარკვეულ წარმატებას ცვლილებების მოხდენის მცდელობაში? ხართ თუ არა უკმაყოფილო საკუთარი თავით და კარგავთ თუ არა სიმშვიდეს მაშინ, როდესაც უფალოს უნდა მიენდოთ, მას დაელოდოთ და მის ვალებს დაემორჩილოთ? მას მიანდოთ როგორც საკუთარი თავი, აგრეთვე თქვენს გარშემო მყოფი ადამიანები?

ნება მომეცით შეჯამება გავაკეთო: „თუ ცდილობთ შეცვალოთ ის, რისი შეცვლაც თქვენს ძალებს აღემატება, იმედგაცრუება გელით და სიმშვიდითაც ვერ ისიამოვნებთ.“

3

იყავი მართული მშვიდობით

კოლასელთა მიმართ წერილის 3:15-ში ნათქვამია:

„ბატონობდეს (გამუდმებით მსაჯის მსგავსად იმოქმედეთ) თქვენს გულებში [ერთხელ და საბოლოოდ გადაწყვეტეთ ყველა საკითხი, რომელიც თავში მოგივათ...] მშვიდობა (სულის ჰარმონია, რომელიც ქრისტეს მმართველობიდან გამომდინარეობს) (ინგლ. თარგმანი).

ბურთით თამაშის დროს მსაჯი წყვეტს თამაშში ხართ თუ თამაშგარეთ. სიმშვიდე სწორედ ასეთი მსაჯის როლს უნდა ასრულებდეს თქვენს ცხოვრებაში, რომელიც გადაწყვეტს უნდა იყოს თუ არ უნდა იყოს ესა თუ ის საგანი თქვენს ცხოვრებაში.

მრავალი ადამიანი არ ხარობს სიმშვიდით, რამეთუ ღვთის ნების „გარე“ იმყოფება. ნაცვლად იმისა, რომ ღმერთის ნებას დაემორჩილონ, ისინი საკუთარი ნება-სურვილის თანახმად ცხოვრობენ. ნაცვლად იმისა, რომ

ღმერთის სიტყვას გაჰყვინენ და მშვიდობით იყვინენ ნატარები, ისე იქცევიან, როგორც თავად მიაჩნიათ მართებულად. საკმაოდ ხშირად რაღაცის კეთების სურვილი მიჩნდება, რაც ერთი შეხედვით საკმაოდ გონივრული ჩანს და თითქოს გრძნობითაც ვგრძნობ, რომ კარგი რაღაც გამოვა ამ საქმიდან. თუმცა, თუ გულში მშვიდობა არ მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოცდილებამ მასწავლა, რომ თავი უნდა დავანებო ამ წამოწყებას. იყავით მართული მშვიდობით. ნუ შეიძენთ რაიმე ნივთს, განსაკუთრებით მსხვილ შენაძენს, თუ მშვიდობა არ გაქვთ მასთან დაკავშირებით. მნიშვნელობა არ აქვს რამდენად ძლიერ გსურთ მისი შეძენა. ინანებთ, თუ სულიწმიდის რჩევის წინააღმდეგ წახვალთ.

ღროდაღრო ეკლესიებში საქადაგებლად შეპატიჟებიან. არ ვიცი რატომ, მაგრამ ზოგჯერ უბრალოდ გულში მშვიდობა არ მაქვს. გამოცდილებიდან გამომდინარე ვიცი, რომ თუ მაინც დავთანხმდები ასეთ მიწვევას, ყოველთვის ნათელი ეფინება იმის მიზეზს, თუ რატომ უნდა ვყოფილიყავი მართული მშვიდობით.

მახსოვს, მოგზაურობა ახალი დაწყებული მქონდა, როდესაც ერთ-ერთი ასეთი მიწვევა მივიღე. იმ დროს სიტყვის ქადაგების შესაძლებლობები ძალიან იშვიათად შეძლეოდა და მათ შორის დიდი შუალედები იყო. ბუნებრივია, რომ არც ერთი მათგანის ხელიდან გაშვება არ მსურდა. მოწვევა ტენასის შტატში არსებული ეკლესიიდან მომივიდა. იმ მომენტში იმდენად

აღფრთოვანებული გახლდით, რომ მაშინვე დავთანხმდი. რამდენიმე კვირის განმავლობაში, ყოველთვის, როცა კი ამ მიწვევის შესახებ ვფიქრობდი, მოუსვენრობას ვგრძნობდი ჩემს შინაგანში. ეს გრძნობა თითქოს გულს მიღრღნიდა და თანდათან უფრო და უფრო ძლიერდებოდა. უბრალოდ, გულში აშკარად არ მქონდა მშვიდობა იქ წასვლასთან დაკავშირებით, თუმცა ამის მიზეზი ღმერთს ჩემთვის არ აუხსნია.

გადავწყვიტე მომეცადა. საბოლოოდ კი, მივხვდი, რომ უნდა დამერეკა და მეთხოვა იქ ჩასვლის მოვალეობისაგან გავენთავისუფლებინე. მე მათ ვუთხარი, რომ თუ შესაფერის შემცვლელს ვერ მომიძებნიდნენ, მზად ვიყავი ჩავსულიყავი მათთან, აგრეთვე ისიც დავძინე, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო იქ წასასვლელად გულში მშვიდობა არ მქონდა. მათ გამათავისუფლეს ამ ვალდებულებისაგან.

რამდენიმე კვირის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ სწორედ იმ შაბათ-კვირას, რომელიც ტენასის ეკლესიაში უნდა გამეტარებინა, ჩემს ეკლესიაში ახალი შენობის გახსნის ცერემონია იმართებოდა. ვიდრე საკუთარ მსახურებას დავიწყებდი, ამ ეკლესიაში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მწყემსის დამხმარედ ვმსახურობდი და ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა ამ ცერემონიაზე დასწრება.

რატომ უბრალოდ არ მითხრა უფალმა, თუ რაში იყო საქმე? გაურკვეველი მიზეზის გამო მან არჩია მე ეს არ

მცოდნოდა. მისი სიტყვა ამბობს, რომ ჩვენ მშვიდობით უნდა ვიმართებოდეთ. ხშირად, ღმერთი მხოლოდ იმას გამცნობთ „რჩებით“ მის ნებაში თუ მისი ნების „გარე“ ხართ. შესაძლოა, მოგვიანებით მან გაგიცხადოთ მიზეზები, შესაძლოა აგრეთვე, რომ ვერასოდეს შეიტყოთ, თუ რა იდგა ამ გაფრთხილებების მიღმა.

ვერასოდეს ისიამოვნებთ მშვიდობით აღსავსე ცხოვრებით, თუკი მის ხელმძღვანელობას არ დაემორჩილებით და თქვენი ნებით მოქმედებას გადაწყვეტთ.

4

რა არის ის, რაც მშვიდობას ბპარავით?

თითოეულ პიროვნებას სხვადასხვა რამ აწუხებს. სატანა მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე ცდილობს თქვენს შესწავლას. შესაძლოა, იგი უფრო უკეთესად გიცნობთ, ვიდრე თავად თქვენ იცნობთ საკუთარ თავს. მან იცის, თუ რა გაწუხებთ. თქვენ უნდა იცოდეთ, თუ რა გაწუხებთ და ფრთხილად იყოთ, რომ ამან მშვიდობა არ დაგაკარგინოთ.

ყველას სხვადასხვა „მშვიდობის მპარავი“ ჰყავს. არის ისეთი რაღაცეები, რაც მე მაწუხებს, მაგრამ დეივს საერთოდ არ აწუხებს. მაგალითად, მე სიწყნარე მიყვარს, დეივზე კი ხმაური საერთოდ არ მოქმედებს. მას შეუძლია წიგნი იკითხოოს, მაშინ როცა ჩვენს ერთ-ერთ ქალიშვილს ბოლო ხმაზე აქვს ჩართული მაგნიტოფონი, ხოლო ჩვენი ცხრა წლის ბიჭუნა იატაკზე ძაღლს ეჭიდება.

ვერ ვიტან ფაციფუცს და მძულს დაგვიანება. ზოგჯერ დეივი მცირე ღროში ბევრის მოსწრებას ცდილობს. ასეთ ღროს იმით ვამთავრებთ, რომ უკანასკნელ წუთებში ძალიან ვჩქარობთ, რადგან ვაგვიანებთ. ეს იცის სატანამ და ამით ცდილობს სიმშვიდე მომპაროს. სხვა მხრივ, როდესაც სადმე მივფრინავთ, დეივი ყოველთვის ცდილობს ერთი საათით ადრე მივიდეთ აეროპორტში. მას ყოველთვის სურს ადრე მივიდეს გოლფის სათამაშო მოედანზეც, როდესაც თამაშს აპირებს. თუ სატანა მოახერხებს და დააგვიანებინებს მას ან აეროპორტში ან გოლფის სათამაშო მოედანზე, ისიც ყოველთვის კარგავს სიმშვიდეს.

ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით. სწორედ ამიტომ სატანა სხვადასხვა ტაქტიკას იყენებს თითოეულ ჩვენგანთან. იყავით მასზე გონიერი. იგი გეგმავს, რომ გუნება გაგიფუჭოთ. რა არის თქვენი „მშვიდობის მპარავი“? გააკეთეთ ჩამონათვალი და თქვენს ოჯახთან ერთად განიხილეთ იგი. გაარკვიეთ, თუ რა აღიზიანებს მათ, შემდეგ კი ეცადეთ დაეხმაროთ ერთმანეთს ამის თავიდან არიდებაში.

დეივი გოლფის სერიოზული მოთამაშეა. მეც ვთამაშობ, მაგრამ გოლფის სათამაშო მოედანზე უფრო გართობისთვის დავდივარ. თუმცა, ვისწავლე, რომ ჩემი მხრიდან ბრძნული საქციელი არ იქნება დეივთან გოლფის თამაშის ღროს მეტისმეტად ვიხუმრო ან დავცინო მას ცუდი დარტყმისას. თუმცა კერთობით, მე უნდა კეცადო

მოვიქცე ისე, რომ არ გავალიზიანო იგი. აზრი არ აქვს ერთმანეთს მოთმინება დავაკარგინოთ. როდესაც პიროვნებასთან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობ, იცი მისი სუსტი მხარეები, ისევე, როგორც საკუთარი. ვიმეორებ: „ეცადეთ ერთმანეთს გალიზიანებისგან თავის არიდებაში დაეხმაროთ.“

დეივი ჩემს სისუსტეებში მეხმარება. როდესაც ვსწავლობ ან ვისვენებ, ცდილობს სახლში სიმშვიდე სუფევდეს. იგი ხელს მიწყობს დასვენებაში, რამეთუ იცის, რომ თუ მეტისმეტად გადავიღალე, სატანა სიმშვიდეს მომპარავს. გალატელთა მიმართ წერილის 6:2-ში ნათქვამია: „ატარეთ ერთმანეთის ტვირთი...“. ჩვენ უნდა ვზიდოთ ერთმანეთის სისუსტეები; თითოეულ ჩვენგანს მრავლად გვაქვს ეს სისუსტეები და ერთმანეთისთვის უნდა ვლოცულობდეთ.

5

რატომ ცდილობს სატანა მშვიდობა მოგპაროთ?

ჩვენ ვიცით, რომ სიმშვიდე სულიწმიდასთან გვაკავშირებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სულიწმიდა მხოლოდ მშვიდ ატმოსფეროში მოქმედებს. *სიმშვიდეში დიდი ძალაა*. მჯერა, რომ სწორედ ამიტომ არის ნათქვამი იოანეს სახარების 14:27-ში (ინგლ. თარგმანი), რომ ჩვენი მემკვიდრეობა იესოსგან – არის მშვიდობა. იესომ თქვა: „... ჩემს [საკუთარ] მშვიდობას გაძლევთ თქვენ...“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი საკუთარ მშვიდობას გვიანდერძებს ჩვენ.

თუ პრობლემა გაქვთ და სატანამ ვერ მოახერხა თქვენი მშვიდობის დაკარგვა ამ საკითხთან დაკავშირებით, მას თქვენზე არანაირი ძალაუფლება არ აქვს. თქვენს ძალაუფლებაშია შეინარჩუნოთ წყნარი, მშვიდი, ნდობით აღსავსე დამოკიდებულება. სატანას თქვენზე ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ შეწუხებული და

შეშინებული ხართ.

როდესაც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, თქვენი მიზანი სიმშვიდის შენარჩუნება უნდა იყოს. შეწუხებით და სიმშვიდის დაკარგვით თქვენ მხოლოდ სატანის წისქვილზე დაასხავთ წყალს. მას დიდ სიამოვნებას ანიჭებს თქვენი ემოციური მოშლილობა. ჩვეულებრივ, პირველი რამ, რასაც პიროვნება აკეთებს ემოციურად მოშლილ მდგომარეობაში, გახლავთ ის, რომ იგი ისეთ რაღაცეებს ამბობს, რაც სატანას დამატებით საწვავს აძლევს იმ ცეცხლის გასაღვივებლად, რომელიც მან ამ პიროვნებაში დაანთო.

იაკობის წერილის 3:5,6 მუხლებში ნათქვამია, რომ ენა სხეულის პატარა ასოა, მაგრამ დიდი ცეცხლის დანთება შეუძლია. იგი უსამართლობის სამყაროა და ჩვენს ასოებს შორისაა მოთავსებული. იგია მთელი სხეულის წამბილწავი და ჩვენი დაბადების ბორბლის აღმაგზნებელი, თვით აღგზნებული ჯოჯოხეთისაგან (პარაფრაზირებული). წმიდა წერილიდან ჩანს, რომ სატანას სურს კონტროლი დაგაკარგინოთ, რათა თვითონ ჩაიგდოს იგი ხელში. გახსოვდეთ, რომ სატანა ცდილობს წყობილებიდან გამოგიყვანოთ და გუნება გაგიფუჭოთ.

ალბათ შეამჩნევდით, რომ იგი ამას უმეტესწილად ისეთ დროს აკეთებს, როდესაც ეკლესიაში ან ბიბლიის გაკვეთილზე წასვლისთვის ემზადებით. წლების მანძილზე ყოველი კვირა დილა ჩვენს სახლში აურზაურით იწყებოდა. ჩვენ იშვიათად მივდიოდით ეკლესიაში ისე, რომ

რომელიმე ჩვენგანს გუნება არ ჰქონოდა გაფუჭებული და ხშირად ყველანი ასეთ ხასიათზე ვიყავით.

კვირა დილით, ისე როგორც არც ერთ სხვა დღეს, იკარგებოდა, იბნეოდა და ტყდებოდა ნივთები. ჩვენი შვილები კვირის დანარჩენ დღეებში კარგად რიგდებოდნენ ერთმანეთთან, კვირა დილას კი გამუდმებით ჩხუბობდნენ. რაც უფრო მეტი ხმაური და აურზაური იდგა სახლში, მით უფრო მეტად ვლიზიანდებოდი (გახსოვთ ალბათ, რომ ხმაურს ვერ ვიტან).

ბოლოს და ბოლოს, წუწუნს ვიწყებდი. დეივს სძულს წუწუნი და ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ იგი მთხოვდა შემეწყვიტა, რის შედეგადაც ძალიან ვბრაზდებოდი მასზე. შემდეგ კი ჩემი და დეივის ჩხუბზე ბავშვები ტირილს იწყებდნენ.

ამ ყველაფერთან ერთად, ძალი მთელს სახლში დარბოდა და ვიღაცის ახალ ფენსაცმელს დაათრევდა, რომლითაც იგი ეკლესიაში უნდა წამოსულიყო. ამ ყველაფრის შემდეგ ყვირილს ვიწყებდი: „იჩქარეთ! გვაგვიანდება!“ დარწმუნებული ვარ, რომ გეცნობათ ასეთი სცენა.

როდესაც იაკობის წერილის 3:18 წავიკითხე, მივხვდი თუ რატომ ხდებოდა ეს ყოველთვის მაშინ, როდესაც ღმერთის სიტყვის მოსასმენად მივდიოდით. წმიდა წერილი ამბობს: „სიმართლის ნაყოფი...“ [(სწორი ქმედებები) „... არის [თესლის ნაყოფი] (უფლის სიტყვა)] მშვიდობით ეთესებათ მშვიდობისმყოფელთ.“

სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმისთვის, რომ ღმერთის სიტყვამ ფესვი გაიდგას და კარგი ნაყოფი გამოიღოს ჩვენს ცხოვრებაში, იგი ნაქადაგები ან ნასწავლები უნდა იყოს პიროვნების მიერ, რომელიც თავადაც მშვიდობისმყოფელია. აგრეთვე, როდესაც ღმერთის სიტყვას ვისმენთ მშვიდი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს.

უბრალოდ დაფიქრდით თქვენს ცხოვრებაზე. რამდენჯერ მიუღწევია სატანას წარმატებისთვის თავის მცდელობაში გუნება გაეფუჭებინა თქვენთვის მანამ, ვიდრე ღმერთის სიტყვის მოსასმენად წახვიდოდით? გახსოვდეთ მისი ამ სქემის შესახებ და ხელს ნუ შეუწყობთ მას მის განხორციელებაში. კორინთელთა მიმართ მეორე წერილის 2:11-ში (ინგლ. თარგმანი) ნათქვამია, რომ „ჩვენთვის უცნობი არ არის სატანის ეშმაკობა და მისი ზრახვები.“ ერთ-ერთი ინგლისური თარგმანი ამას „სატანის ზრიკებს“ უწოდებს. სატანა თავის ეშმაკობას იყენებს, რათა მოატყუოს და გზას ააცდინოს ადამიანი. მოდით მასზე გონიერნი ვიყოთ.

პეტრეს პირველი წერილის 5:8-ში (ინგლ. თარგმანი) ნათქვამია: „მღვიძარენი იყავით, (თავშეკავებულნი, ფხიზელი გონება გქონდეთ), იფხიზლეთ, რადგან თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრწის, როგორც მბრძღვინავი [საშინლად მშვიერი] ლომი, და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს.“

ნუ იქნებით ასეთებს შორის! გირჩევთ ფრთხილნი იყოთ. ყოველთვის, როდესაც გუნება გიფუჭდებათ და

სასოწარკვეთილება გიჰყრობთ, შეჩერდით და შემდეგი კითხვები დაუსვით საკუთარ თავს: „რის მიღწევას ცდილობს სატანა? რა მოჰყვება ამას შედეგად, თუ ნეგატიურ ემოციებს მივცემ ადგილს?“

ეფესელთა მიმართ წერილის 4:26,27 მუხლებიც (ინგლ. თარგმანი) ძალიან მნიშვნელოვანი მუხლებია, რამეთუ გვასწავლიან, თუ როგორ არ მივცეთ სატანას დასაყრდენი რისხვის მეშვეობით. 26-ე მუხლში ნათქვამია: „ ... მზე ნუ ჩავა თქვენს რისხვაზე“ (გალიზიანებაზე, მძვინვარებასა და აღშფოთებაზე). სხვაგვარად რომ ითქვას: „ნუ დარჩებით გაბრაზებული.“

27-ე მუხლში (ინგლ. თარგმანი) ნათქვამია: „[ამით] ადგილი არ მისცეთ ეშმაკს“ [ნუ მისცემთ მას ასეთ შესაძლებლობას]. როდესაც ღიზიანდებით, ამით სიხარულს კარგავთ, ხოლო სიხარულის დაკარგვით, ძალას კარგავთ. ნეემიას წიგნის 8:10-ში ნათქვამია: „...სიხარული უფლის წინაშე სიმტკიცეა თქვენი.“ მეფსალმუნე, დავითი ფსალმუნის 42:5-ში საკუთარ სულს ესაუბრება და ამბობს: „რას დაღვრემილხარ, სულო ჩემო...?“ ესაიას წიგნის 30:15-ში დაწერილია: „...სიმყუდროვესა და მინდობაში იქნებოდა თქვენი ძალა...“. ვხედავთ, რომ სატანას სურს შეგვამფოთოს, და ამის შედეგად ძალა წავგართვას.

სულიწმიდისაგან ვისწავლე, რომ იგი სიმშვიდის ატმოსფეროში მოქმედებს და არა არეულ-დარეულობაში. სატანა სარგებლობს ადამიანის აფორიაქებული

მდგომარეობით, ხოლო სულიწმიდა მშვიდ გარემოში მოქმედებს. უზრუნველყავით მშვიდი გარემო თქვენს სახლში, ბიზნესში, ეკლესიასა თუ მსახურებაში. ამის გაკეთებით თქვენ ღმერთის სიტყვასა და ღმერთის სულს მიაგებთ პატივს და თქვენი მორჩილების ნაყოფს მოიძიკით.

გახსოვდეთ იესომ სამოცდაათი მოწაფე წარგზავნა, რათა წყვილ-წყვილად, ორ-ორნი წასულიყვნენ და მრავალი დიდებული საქმე ეკეთებინათ: გაედევნათ ეშმაკები, განეკურნათ ავადმყოფები და ექადაგათ სახარება. მან უთხრა მათ წასულიყვნენ ქალაქებში, ეპოვათ სახლი, შესულიყვნენ, მშვიდობა ესურვებინათ მისთვის და დარჩენილიყვნენ იმ სახლში. თუ (მშვიდობით) არ მიიღებდნენ, მათ ფეხები უნდა დაებერტყათ და გზა გაეგრძელებინათ. (ლუკა 10:1-11,17). რატომ? სიმშვიდეში რომ არ ეცხოვრათ, მათ მიერ გაკეთებულ საქმეს ძალა არ ექნებოდა.

დარწმუნებული ვარ, რომ თანდათან გიცხადდებათ ის, თუ რისი თქმა მსურს ამ წიგნის მეშვეობით. გააკეთეთ ყველაფერი, რაც შესაძლებელია, რათა საკუთარი თავი აკონტროლოთ და ყოველთვის სიმშვიდე შეინარჩუნოთ.

ლუკას სახარების 22:46-ში იესო გვასწავლის, თუ როგორ ვილოცოთ, რათა არ ჩავვარდეთ [არანაირ] განსაცდელში. მან უთხრა მოწაფეებს (ინგლ. თარგმანი), „...ადექით, ილოცეთ, რომ არ ჩაცვივდეთ განსაცდელში.“ ნუ დაეყრდნობით საკუთარ თავს ან საკუთარ ძალას

იმისთვის, რომ სატანას შეეწინააღმდეგოთ ამ საკითხში. ყოველდღიურად ილოცეთ, რათა ღმერთმა მოგცეთ მადლი შეეწინააღმდეგოთ სატანას, როდესაც იგი ცდილობს მშვიდობა მოგპაროთ. სთხოვეთ უფალს გაგაძლიეროთ და დაგეხმაროთ.

გახსოვდეთ, იოანეს სახარების 15:5-ში ნათქვამია: „უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ.“ ნუ ცდილობთ საკუთარი ძალით აკეთოთ რაიმე! ითხოვეთ დახმარება. თქვენ ყოველივე ძალგიდით ქრისტეში (ფილიპ. 4:13). მაგრამ არაფერი შეგიძლიათ საკუთარი ძალებით. იოანეს სახარების 5:30-ში იესოც კი ამბობს, რომ მას არაფრის კეთება არ შეუძლია თავისით. თუ გსურთ, რომ ღმერთი დაგეხმაროთ, თავდაბლური დამოკიდებულება უნდა გქონდეთ. პეტრეს პირველ წერილში, 5:5-ში ნათქვამია: „... ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავდაბლებს კი მადლს ანიჭებს.“

ნება მომეცით შევაჯამო ჩემს მიერ ნათქვამი და აღვნიშნო, რომ სატანას სურს მშვიდობა მოგპაროთ, რათა მასთან ერთად ძალაც წაგართვათ. მას სურს სუსტნი და ძალაგამოცლილნი გიხილოთ, მაგრამ მე მსურს გაგამხნევოთ: „გამაგრდით უფლით და მისი ძალის სიმტკიცით“ (ეფეს. 6:10). დარჩით სიმშვიდეში!

6

მორწმუნის პოზიცია ბანსაცდელების ქამს

ეფესელთა მიმართ წერილში 6:13 (ინგლ. თარგმანი) დაწერილია: „... რათა ყოვლის მძლეველებმა [ყველაფრის მძლეველებმა, რასაც კრიზისი გულისხმობს] გასძლოთ [მტკიცედ იდგეთ თქვენს ადგილზე].“ სად არის „თქვენი ადგილი“? ეფესელთა 2:6 გვასწავლის, რომ ჩვენი ადგილი ქრისტეშია. სიტყვა გასძლოთ ბერძნული სიტყვა „ჰისტემი“-ს თარგმანი გახლავთ. მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა სიტყვა „დარჩენა“. სიტყვა დარჩენის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა, რომელიც იოანეს სახარების 15:7-ია გამოყენებული არის სიტყვა „მენო“. მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა გახლავთ სიტყვა „გაძლება“. „მენო“ ზოგჯერ ითარგმნა, როგორც „გაძლება“. იესომ თქვა: „თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩება, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ.“ განუწყვეტლივ მასში დარჩენის პოზიცია

ძალაუფლების ადგილი გახლავთ.

ებრაელთა მიმართ წერილის მე-4 თავში ნათქვამია, რომ როდესაც წყვეტ საკუთარი ძალებით ბრძოლას და ნაცვლად ამისა შრომობთ (რწმენისა და მორჩილების მეშვეობით), რათა ღმერთის სიმშვიდეში შეხვიდეთ, თქვენ შეხვალთ მის სიმშვიდეში. განსაცდელის ჟამს გააკეთე ის, რაზეც ღმერთი მიგითითებს, შემდეგ კი დარჩი ან დაიკავე შენი პოზიცია ქრისტეში და ყურადღება მიაქციე, თუ რას მოიმოქმედებს იგი შენს სასარგებლოდ. ბიბლია ამბობს: „... დადექით და იხილავთ უფლის ხსნას“ (გამოს. 14:13). თითოეული ეს სიტყვა – დარჩენა, დადგომა, მოსვენება, გაძლება და ქრისტეში ყოფნა – ერთსა და იმავე არსებით საკითხზე მიუთითებს: ნუ დაკარგავთ სიმშვიდეს!

ფილიპელთა მიმართ წერილის 1:28 ბიბლიის ერთ-ერთი უძლიერესი მუხლი გახლავთ, რომელიც ამ საკითხზე ხმამაღლა და გარკვევით საუბრობს ([]-ში მოცემულია ინგლისური თარგმანი. მთარგმნელის შენიშვნა):

„ნურაფერში შეუშინდებით [ერთი წამითაც კი] მოწინააღმდეგეს: ეს [სიმტკიცე და უშიშობა] მათთვის [მათი გარდაუვალი] დალუპვის ნიშანია (დამოწმება და ბეჭედი), თქვენთვის კი – [ნიშანი და სამხილი] ხსნისა. ეს ღვთისაგან არის.“ წმიდა წერილის ეს მონაკვეთი გასაგებად ამხვეილებს ყურადღებას იმაზე, რომ როდესაც სატანა გიტევთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე. ეს ახსენებს მას, რომ დამარცხებულია. თუ წყობილებიდან არ გამოდინხართ, სატანამ არ იცის, რა მოგიხერხოთ. ეს

აგრეთვე გარწმუნებთ თქვენ, რომ ღმერთის მიერ იქენით დახსნილნი, რამეთუ სიმშვიდისა და ღმერთზე მინდობის თქვენი ასეთი დამოკიდებულება აჩვენებს ღმერთს, რომ ჭეშმარიტი რწმენით მოქმედებთ. ებრაელთა მიმართ წერილის მე-4 თავში ნათქვამია, რომ ჩვენ, მორწმუნენი, ღმერთის სიმშვიდეში შევდივართ.

დაიწყეთ ცხოვრებით სიამოვნება მაშინ, როდესაც უფალი თქვენს პრობლემებს აგვარებს. ვფიქრობ, რომ ადამიანთა უმეტესობა ბუნდოვანი აზროვნების მქონე პიროვნებები არიან და მიაჩნიათ, რომ არასწორია ცხოვრებით ისიამოვნო, მაშინ როდესაც პრობლემები გაქვს. ბოლოს და ბოლოს, მაინც ხომ სხვა არაფრის კეთება არ შეგიძლიათ; სულ მცირე, რაც შეგიძლიათ, არის ის, რომ საცოდავად იგრძნოთ თავი.

ეს ჩემთვის ნაცნობია, რამეთუ წლების მანძილზე მეც ასეთივე აზროვნება მქონდა. ყოველთვის, როდესაც დეივი და მე გარკვეული პრობლემების წინაშე ვიდექით, იგი მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს და ცხოვრებისაგან სიამოვნებას იღებდა. მე კი საცოდავად ვგრძნობდი თავს და დეივზე ვიყრიდი ჯავრს, რადგან ჩემი გრძნობის გაზიარება არ სურდა.

ეს პრობლემები ხშირად ფინანსური სახის გახლდათ. ისე ჩანდა, თითქოს დეივს ზებუნებრივი რწმენა ჰქონდა ფულთან დაკავშირებით. იგი ამბობდა: „ჩვენ მეათედს ვიძლევი და შესაწირავებსაც უხვად ვწირავთ ყოველთვის, როდესაც საჭიროებას ვხედავთ.“ ბიბლია

ამბობს: „თქვენი ყველა საზრუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე“ (1 პეტრე 5:7). ბიბლიაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ჩვენი ღმერთი აღავსებს ჩვენს ყოველ საჭიროებას (ფილიპელთა 4:19), მაშ, რატომღა უნდა ვწუხდე ამის გამო? წუხილი ფულს ვერ მოგვიტანს. მას ეს არ შეუძლია.“

ეს გახლდათ ის „სიმაგრე“, რომელზეც დეივი იდგა. ვიდრე ღმერთი ამ პრობლემაზე შრომობდა, დეივი ცხოვრებით ტკბებოდა. მე ვეუბნებოდი მას: „ეგ ყველაფერი ჩემთვის ცნობილია, დეივ, მაგრამ შენ ხომ არ შეგიძლია მთლად უმოქმედოდ ყოფნა.“ მე მსურდა, რომ მას რაღაც მოემოქმედა. ის კი მპასუხობდა: „კარგი, ჯოის, რა გინდა რომ გავაკეთო?“ მე ვეტყვოდი: „ილოცე, უნდა ლოცულობდე!“ ის კი ამბობდა: „უკვე ვილოცე. ვილოცე და ვთხოვე ღმერთს ეჩვენებინა ჩემთვის, არის თუ არა საჭირო რაიმეს გაკეთება ჩემი მხრიდან. მას არაფერზე მიუთითებია, ასე რომ ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ იმისათვის, რომ თავს უბედურ აღამიანად ვგრძნობდე.“

შინაგანად ვგრძნობდი, რომ დეივი მართალი იყო. მაგრამ იყო რაღაც გაურკვეველი რამ, რაც დაჟინებით ჩამძახოდა, რომ არ უნდა მქონოდა კადნიერება მესიამოვნა ცხოვრებით პრობლემების ჟამს. შედეგი ყოველთვის ერთი და იგივე გახლდათ წლების მანძილზე: ყოველთვის, როდესაც პრობლემა გვქონდა, დეივი ლოცულობდა და სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მე კი ვლოცულობდი და ვღელავდი. საკუთარ თავს უბედურ აღამიანად ვაქცევდი

ხოლმე, დეივი კი სიამოვნებას ღებულობდა ცხოვრებისგან. საბოლოოდ ღმერთი ყოველთვის აკმაყოფილებდა საჭიროებას და ჩვენც ყოველთვის ვალწევდით მიზანს.

მადლობა ღმერთს, ბოლოს და ბოლოს გავაცნობიერე, რომ მე არ ვიყავი ის, ვინც აღწევდა ყველაფერს. ერთადერთი, რასაც ვაკეთებდი იყო ის, რომ საკუთარ თავს უბედურ ადამიანად ვაქცევდი და ალბათ უფრო მეტად ვაყოვნებდი ღმერთისაგან პასუხის მიღებას. ახლა უკვე შემიძლია ქარიშხლის დროს სიმშვიდით ვისიამოვნო (მარკოზი 4:37-40).

იესომ თქვა: „სოფელში გასაჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით, მე ვძლიე სოფელს“ (იოანე 16:33). ბიბლია აგრევე ამბობს, რომ განსაცდელი უნდა მოვიდეს, მაგრამ გვაფრთხილებს, რომ არ ჩავვარდეთ მასში (ლუკა 8:13; 1 კორინთელთა 10:13; იაკობი 1:12). მიმაჩნია, რომ გამოწვევები და წინააღმდეგობები ყოველთვის იქნება ამ ცხოვრებაში, მაგრამ ყოველივე ამას ვძლიევთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით (რომ. 8:37).

ჩვენ უბრალოდ მომსვლელები კი არა ვართ, არამედ მძლეველები ვართ. ვერასოდეს მიაღწევთ ისეთ ადგილამდე, სადაც ყველა წინააღმდეგობა გადალახული გექნებათ, მაგრამ შეგიძლიათ გქონდეთ დარწმუნებულობა, რომ ქრისტეში ყოველთვის გამარჯვებული ხართ. თქვენ ყოველთვის იმარჯვებთ!

თქვენ მიხვალთ იმ პოზიციაზე, რომელზეც პავლე საუბრობს ფილიპელთა მიმართ წერილის 4:11-12-

ში. იგი ამბობს, რომ ისწავლა იმით დაკმაყოფილება (დამშვიდება), რაც აქვს, ხელმოკლეობასა თუ სიუხვეში. თუ თქვენც ასე არ იქნებით, თქვენს ცხოვრებაში წუხილი არ გამოილევა. გახსოვდეთ: თუ სატანა თქვენი გარემოებების გაკონტროლებას შეძლებს, თქვენ გამუდმებით მისი ძალაუფლების ქვეშ იქნებით. მაგრამ, თუ სიმშვიდეში დარჩებით, შეგეძლებათ საკუთარი ძალაუფლებით იმოქმედოთ.

7

დღევანდელი დღით ცხოვრება

სიმშვიდის დაკარგვის უტყუარი გზა ხვალინდელ დღეზე ზრუნვა გახლავთ. მათეს სახარების 6:34-ში ნათქვამია:

„ნუ ზრუნავთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს საკუთარ თავზე. ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი საზრუნავი.“

მრავალ ჩვენგანს საკმარისად აქვს დღევანდელი დღის საზრუნავი, რომ ხვალინდელზე აღარ ვიზრუნოთ. ღმერთი დღევანდელი დღისთვის მოგცემს მადლს, მაგრამ არასოდეს მოგცემს მადლს ხვალისთვის მანამ, სანამ ეს დღე არ გათენდება.

ასე რომ, ხშირად ადამიანები ისეთ რამეზე ზრუნავენ და განიცდიან, რაც არასოდეს მოხდება. „რომ მოხდეს?“ – ასეთი დამოკიდებულება საზრუნავს წარმოადგენს. როდესაც ასეთი აზრები მოგდით გონებაში, ფრთხილად

იყავით, რამეთუ ისინი საზრუნავში ჩაგითრევენ. ზოგიერთი ადამიანი იმდენად ბევრს წუხს, რომ მისი წუხილი შიშში იზრდება და ხშირად რისიც ემინია, ის ემართება. ჩვენ შეგვიძლია რწმენით რალაცის მიღება ღმერთისგან, მაგრამ ასევე სატანისგანაც შეგვიძლია რალაც-რალაცების მიღება შიშის მეშვეობით.

ნუ მისცემთ საკუთარ თავს ხვალინდელი დღის შიშის უფლებას. უბრალოდ იცოდეთ, რომ ღმერთი ერთგულია. რაც არ უნდა მოიტანოს ხვალინდელმა დღემ, გახსოვდეთ, რომ ხვალინდელი დღე ღმერთის ხელშია. მისი მადლი საკმარისია საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ნუ დახარჯავთ დღევანდელი დღით გახარების მადლს ხვალინდელ დღეზე ზრუნვაში. საოცარია, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია ქრისტეში, თუ მხოლოდ დღევანდელი დღით ვიცხოვრებთ.

ეს გაკვეთილი მაშინ შევისწავლე, როდესაც ბიბლიურ კოლეჯში ბიბლიის სწავლება დავიწყე. კვირაში ერთხელ ვასწავლიდი ჩემს მშობლიურ ეკლესიაში, სადაც აგრეთვე მწყემსის დამხმარეც გახლდით. უკვე ოთხი შვილი მყავდა და სრულ განაკვეთზე ვმუშაობდი, როდესაც შესაძლებლობა მომეცა ეკლესიის ბიბლიურ კოლეჯში კვირაში ერთი დღის ნაცვლად უკვე სამი დღის მანძილზე მესწავლებინა. გულწრფელად მსურდა უფრო მეტად მესწავლებინა ღმერთის სიტყვა და აი, ყოველკვირეულად სამი დღის მანძილზე სწავლების შესაძლებლობაც გამოჩნდა.

თუმცა, როდესაც ვასწავლი, საჭიროა თავადაც ვსწავლობდე და ვემზადებოდე. კლასების უძრავლესობა ბიბლიის ღრმა შესწავლაზე იქნებოდა გადასული, რაც იმას ნიშნავდა, რომ გაკვეთილებისთვის მოსამზადებლად, განსაკუთრებით პირველი სასწავლო წლის განმავლობაში, ბიბლიასთან დიდი დროის გატარება მომიწევდა. გაკვეთილებისთვის საღამო ხანს მომიწევდა მზადება, რამეთუ დღის განმავლობაში ვმუშაობდი. ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა მომეხერხებინა ეს, თუმცა ვგრძნობდი, რომ ღმერთს სურდა ეს მეკეთებინა.

ხანგრძლივი ლოცვისა და ფიქრის შემდეგ დიდი ნაბიჯი გადავდგი ღმერთისკენ, რათა მისი წყალობით გამეკეთებინა ის, რაც ჩემთვის შეუძლებელი იყო. ძირითადი რამ, რაც ღმერთმა ჩამაგონა, შემდეგი გახლდათ: „მხოლოდ დღევანდელ დღეზე იზრუნე და შეძლებ ამის გაკეთებას.“ ხვალინდელ დღეზე რომ დამეწყო ფიქრი, ძალიან მალე ჩავვარდებოდი განსაცდელში, რამეთუ დაუყოვნებლივ დავინახავდი, რომ ამის კეთება ფაქტიურად შეუძლებელი იყო. მაგრამ, ყოველდღიურად მხოლოდ ერთ დღეზე ზრუნვით, ყველაფერი გამოვიდა. ღმერთმა მომანიჭა მადლი, მაგრამ მხოლოდ იმ დღისთვის, რომელ დღესაც მჭირდებოდა იგი. შემდეგ სასწავლო წელს გაცილებით გამიადვილდა, რადგან ყველა გაკვეთილი უკვე მზად მქონდა, ამიტომ აღარ მჭირდებოდა იმდენი სწავლა, როგორც გასულ წელს.

გარდა იმისა, რომ სტუდენტებისთვის ღმერთის

სიტყვა უნდა მესწავლებინა, კიდევ ორი ძირითადი მიზეზი არსებობდა იმისა, თუ რატომ მთხოვა უფალმა ხელი მომეკიდა ამ საქმისთვის. პირველი იყო ის, რომ უშუალო გამოცდილება შევიძინე იმისა, თუ რამდენი რამის გაკეთება შეიძლება უფლის მადლით, თუ მხოლოდ დღევანდელ დღეზე ვიზრუნებთ. მეორე კი ის გახლდათ, რომ უფრო სისტემატიურად უნდა შემეძინა სწავლების გამოცდილება. დღესდღეობით მე და დეივი ბევრს ვმოგზაურობთ და ძალიან ხშირად მიწვევს სწავლება გარდა იმისა, რომ ჩვენს სახლში შეხვედრებს ვატარებთ, რასაც „სიტყვით ცხოვრება“ ვუწოდებთ.

კიდევ ერთი სფერო არსებობს, რომელიც დიდად აწუხებს ადამიანებს და ეს გახლავთ სინანული – ცხოვრება წარსულის სინანულით. ჩვენ ყველანი ვუშვებთ შეცდომებს. ღიახ, მე ვთქვი: „ჩვენ ყველანი ვუშვებთ შეცდომებს!“ ის ადამიანებიც კი ვისზეც ფიქრობთ, რომ არასოდეს ცდებიან, შეცდომებს უშვებენ. ბიბლია ამბობს, რომ ჩვენ ყველას გვაქვს ძნელად ასატანი შეცდომების ჩვენ-ჩვენი პატარა ტვირთები (გალატ. 6:5). ყველანი ვაკეთებთ ან ვამბობთ ისეთ რამეს, რაზეც შემდეგ ვწუხვართ, რომ ნეტავ არასოდეს გაგვეკეთებინა ან არ გვეთქვა ესა თუ ის. მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა.

ვისწავლე, რომ იმის გამო, რაც უკვე ჩავიდინე, მაგრამ რისი გამოსწორებაც აღარ შემიძლია, სიმშვიდის დაკარგვის ნაცვლად, ღმერთს მივუძღო და ვთხოვო, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს. თქვენ იცით, რომ მას

აქვს ამის უნარი. ღმერთს ჩვენი შეცდომების წაშლა შეუძლია.

ზოგჯერ ისეთ რამეს ვამბობ, რაზეც ვნატრობ, რომ ნეტავ არ მეთქვა. ნაცვლად იმისა, რომ ვდარდობდე იმის გამო ვაწყენინე ან გავაბრაზე თუ არა ვინმე, უფალს ვთხოვ დაანახოს მათ, რომ თუმცა ცუდად მოვიქეცი, ეს ცუდი განზრახვით არ ჩამიდენია. მე ვენდობი უფალს, რომ იშრომოს მათ გულებზე და კეთილგანწყობა მომანიჭოს მათ თვალში. ამის წყალობით აღარ მჭირდება რამდენიმე დღის წუხილში გატარება, ხოლო მათთან შეხვედრისას კი უხერხულობის განცდა.

ჩვენ ყველანი ვცვივდებით სინანულის მახეში მრავალი რამის გამო. ვინაიდან ძალიან დაკავებულები ვართ, დღევს და მე ხშირად გვიწევს სახლგარეთ კვება. დროდადრო ისეთ ადგილას გვისადილია, სადაც ან საკვები არ ვარგოდა, ან მომსახურება. როგორც წესი, სასწრაფოდ ვტოვებდით ასეთ დაწესებულებას და შემდეგ საათობით ვნანობდით იქ წასვლას. უფალმა დაგვანახა, რომ რესტორნის ცუდი არჩევანის შედეგად გამოწვეულ სინანულსაც კი შეუძლია ჩვენი სიმშვიდის მოპარვა.

გახსოვდეთ, იმისათვის, რომ სიმშვიდით ისიამოვნოთ, შეწყვიტეთ იმის კეთების მცდელობა, რისი შეცვლაც არ შეგიძლიათ. რაკი უკვე ისადილეთ საზოგადოებრივ ადგილას და ანგარიშიც გადაიხადეთ, სინანული ვეღარ შეცვლის მომხდარს.

დღესდღეობით, ჩვენ უკვე სხვაგვარად ვუდგებით

ასეთ სიტუაციებს და ჩვენს სასარგებლოდ ვიყენებთ მათ. ახლა ჩვენ ვამბობთ: „უბრალოდ, დაფიქრდი ყველა ადამიანზე, ვინც ასეთ ადგილებში დადის და კმაყოფილი არ არის, განა ჩვენ კურთხეულები არ ვართ? ჩვენ უკვე აღმოვაჩინეთ, რომ არ ღირს ამა თუ იმ რესტორანში წასვლა. რაკი აღარასოდეს წავალთ იქ, აღარც ჩვენს ფულსა და დროს დავხარჯავთ უქმად.“

ჩემს ოთახში კედელზე დაფა მიკივლია, რომელზეც წერია: „თუ ცდილობ წარსულით იცხოვრო, ცხოვრება რთული იქნება. იესოს არ უთქვამს, რომ იგია უდიდესი „მე ვიყავი“. თუ ცდილობ მომავლით იცხოვრო, ცხოვრება რთული იქნება.“ იესოს არ უთქვამს, რომ იგია უდიდესი „მე ვიქნები“. თუ მიიღებ თითოეულ დღეს ისეთს, როგორიც ის არის, ყველაფერი კარგად იქნება. იესომ თქვა: „მე ვარ“ (იოანე 8:58). იგი ყოველთვის თქვენთან არის, ნებისმიერ სიტუაციაში. უბრალოდ გახსოვდეთ მიენდოთ მას დღევანდელი დღისთვის საკმარისი მაღლის მისაღებად.

8

ლოცვას მოაქვს მშვიდობა

ფილიპელთა მიმართ წერილის 4:6-7-ში ნათქვამია:

„არაფერზე იზრუნოთ (არ შეწუხდეთ), მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მაღლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში.“

დიდებული რამ არის გამოსცადო მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება. როდესაც ყველა გარემოების მიხედვით თითქოსდა გაღიზიანებული, პანიკით შეპყრობილი, აფორიაქებული და შეწუხებული უნდა იყოთ, მაგრამ ენით აუღწერელ სიმშვიდეს განიცდით – ეს შესანიშნავი გამოცდილება გახლავთ. სამყარო ასეთი სიმშვიდის დიდ წყურვილს განიცდის. ასეთი სიმშვიდის ყიდვა შეუძლებელია, იგი არ იყიდება. ეს იესოს საჩუქარი გახლავთ. ეს მშვიდობა თქვენი იქნება, როდესაც იესოს საკუთარ მხსნელად მიიღებთ და მისი

პრინციპების თანახმად მოქმედებას ისწავლით.

მიძღვნის ლოცვა ძლიერი ლოცვა გახლავთ, რომელსაც თქვენი ტვირთი იესოს მხრებზე გადააქვს. პეტრეს პირველი წერილის 5:7-ში ნათქვამია: „თქვენი ყველა საზრუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე.“
1 პეტრეს 5:7-ის ინგლისური თარგმანი კი ამბობს:

„თქვენი ყველა საზრუნავი [თქვენი ყველა წუხილი, დარდი, საფიქრალი ერთხელ და სამუდამოდ] მას დააკისრეთ, რამეთუ ის სიყვარულით ზრუნავს და ფხიზლობს თქვენზე.“

რამხელა პრივილეგიაა! მიუხედავად იმისა, რომ იგი მათ ეკუთნით, მრავალი ქრისტიანი არასოდეს იყენებს ამ უდიდეს მადლს.

ხარობთ თუ არა მშვიდობით, რომელსაც თქვენი საზრუნავის უფალზე დაკისრების შედეგად ღებულობთ? სიტყვა „დაკისრება“ ძლიერად ტყორცნას ან სროლას ნიშნავს. რაც უფრო მალე გააკეთებთ ამას, მით უფრო უკეთესი იქნება. ეს ლოცვის მეშვეობით უნდა გააკეთოთ. მიანდეთ თქვენი პრობლემები მის სიყვარულით აღსავსე მზრუნველობას. ეს დაუყოვნებლივ გააკეთეთ ყოველთვის, როდესაც სულიწმიდა მიგითითებთ, რომ რაღაცის გამო წუხართ და სიმშვიდე დაკარგეთ.

სატანას სურს, რომ წუხდეთ. პეტრეს პირველი წერილის 5:9-ში ნათქვამია: „წინაღუდექით“ სატანას „დასაწყისშივე“ – ეს გულისხმობს წინაღუდგეთ მას

შეტვეის დასაწყისშივე, დაუყოვნებლივ. ნუ დაელოდებით, რომ მას თქვენზე შეტვეის რამდენიმე დღის განმავლობაში განხორციელების შესაძლებლობა მიეცეს. რაც უფრო დიდხანს დააყოვნებთ წინააღმდეგობის გაწევას, მით უფრო გაიზრდება სატანის მოქმედება თქვენზე. ასეთ შემთხვევაში უფრო რთული ხდება განთავისუფლება. როგორც კი გააცნობიერებთ, რომ წუხნართ, უარი თქვით წუხილზე. ღმერთს გადაეცით სიტუაციაზე ზრუნვა. შეცვალეთ თქვენი აზროვნება.

პირველად, როდესაც „საზრუნავის მინდობის“ და „უდარდელად ცხოვრების“ პრინციპების სწავლა დავიწყე, ვიცოდი, რომ არასწორი აზროვნება მქონდა. მთელ დღეებს წარმოსახვების განდევნაში ვატარებდი, რომლებიც ისევ და ისევ ბრუნდებოდნენ. მახსოვს, ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი ამ ყველაფრის გამო. მე ვკითხე უფალს: „როგორ შეუძლია ადამიანს, რომ რაღაცაზე უბრალოდ არ იფიქროს?“ იცით, იმისათვის, რომ არ იდარდოთ, უბრალოდ საჭიროა, რომ არ იფიქროთ პრობლემის შესახებ. ხოლო, როდესაც პრობლემაზე ფიქრი მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დროს მოგიწევთ, დადებითად უნდა მიუდგეთ მას და არა ნეგატიურად. შეგიძლიათ თქვენს პრობლემას რეალურად შეხედოთ და არა ნეგატიურად.

დღესაც კარგად მახსოვს ის, რაც იესომ მიპასუხა, როდესაც ვკითხე: „როგორ შეიძლება, რომ არ ვიფიქრო ამ პრობლემაზე?“ მან მითხრა: „ეს ძალიან მარტივია,

ჯოის. უბრალოდ, სხვა რამეზე იფიქრე.“ იცით, თქვენ ვერ იფიქრებთ პრობლემაზე, თუ ისეთ რამეზე ფიქრობთ, რაც პრობლემას არ წარმოადგენს.

ფილიპელთა მიმართ წერილის 4:6-ში ნათქვამია, რომ ნაცვლად იმისა, რომ ვიზრუნოთ პრობლემაზე, ჩვენ უნდა ვილოცოთ. მე-7 მუხლი გვპირდება, რომ თუ მე-6 მუხლში ნათქვამს შევასრულებთ, ისეთ მშვიდობას შევიძენთ, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება. მე-8 მუხლი ამბობს: „აბა ასე, ჩემო ძმებო, ყოველივე, რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც წმიდაა, რაც საყვარელია, რაც საქებარია, ყოველივე, რაც სათნო და ქებულია, იმაზე იფიქრეთ.“

ახლა ვლოცულობ, რომ უფალმა მაღლი მოგანიჭოთ, რომელიც სულიწმიდის ძალაა, რათა ამ პრინციპების თქვენს ცხოვრებაში გატარება შეძლოთ იმისთვის, რომ მშვიდად ცხოვრების ნეტარებით ისიამოვნოთ. აგრეთვე ვლოცულობ, რომ ზეციერმა მამამ თავისუფლად შეძლოს თქვენი გამოყენება საკუთარი პატივისა და დიდებისთვის.

იცხოვრეთ ახალი ცხოვრებით

თუ არასოდეს მოგიპატიჟიათ იესო თქვენს ცხოვრებაში საკუთარ უფლად და მხსნელად, მე გთავაზობთ ახლა გააკეთოთ ეს. შეგიძლიათ ასეთი ლოცვით ილოცოთ და თუ თქვენი გული ნამდვილად ეთანხმება მას, ქრისტეში ახალ ცხოვრებას განიცდით.

ზეციერო მამა, მწამს, რომ იესო ქრისტე შენი ძეა და ივია ქვეყნიერების მხსნელი. მწამს, რომ იგი ჩემთვის მოკვდა ჯვარზე და ყველა ჩემი ცოდვა აიტანა მასზე. მან ფასი გადაიხადა ჩემი ცოდვების გამო. მან აიღო თავის თავზე ჩემი სასჯელი. მწამს, რომ იესო მკვდრეთით აღდგა და ახლა შენს მარჯვენე ზის. მჭირდები, იესო. მაპატიე ჩემი ცოდვები, მიხსენი, შემოდი და იცხოვრე ჩემში. მინდა ხელახლა ვიშვა.

ახლა კი გწამდეთ, რომ იესო თქვენს გულში ცხოვრობს. თქვენ ნაპატიები და განწმედილი ხართ და როდესაც იესო მოვა, ზეცაში წახვალთ.

მოძებნეთ კარგი ეკლესია, სადაც ღმერთის სიტყვა ისწავლება და დაიწყეთ ქრისტეში ზრდა. ღმერთის სიტყვის ცოდნის გარეშე, არაფერი შეიცვლება თქვენს

ცხოვრებაში. იოანეს სახარების 8:31,32-ში ნათქვამია: „თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ. შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ.“

გთხოვთ მომწერეთ და გამაგებინეთ თუ მიიღეთ იესო და ჩვენ უსასყიდლოდ გამოგიგზავნით ბუკლეტს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყეთ ახალი ცხოვრება ქრისტეში.

„სიტყვით ცხოვრების“ თითოეულ თანამშრომელს უყვარხართ. ვლოცულობთ, რომ ეს წიგნი მშვიდობის შესახებ კურთხევა აღმოჩნდეს თქვენთვის.

საყვარელნო,

იოანეს სახარების 8:31,32-ში ნათქვამია: „თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ. შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ.“

მე მოგიწოდებთ ჩაეჭიდოთ ღმერთის სიტყვას, ჩათესოთ იგი ღრმად თქვენს გულებში და კორინთელთა მიმართ მეორე წერილის 3:18-ის თანახმად, თუ ღმერთის სიტყვაში ჩავიხედავთ იესო ქრისტეს ხატების მსგავსად გარდავისახებით.

სიყვარულით,
ჯოისი

ავტორის შესახებ

ჯონის მაიერი ერთ-ერთია მსოფლიოში ბიბლიის ცნობილ პრაქტიკულ მასწავლებელთა შორის. იგი *New York Times*-ის ყველაზე მეტად გაყიდვადი ავტორია და სამოცდაათზე მეტი შთამაგონებელი წიგნი აქვს დაწერილი, მათ შორისაა: „თავდაჯერებული ქალი“, „მოგიწოდებ, რომ სცადო“, „გონება – ბრძოლის ველი“ და ძრავალი სხვა. აგრეთვე არსებობს მისი ათასობით აუდიო სწავლება, ისევე როგორც სრული ვიდეო ბიბლიოთეკა. ჯონისის ხელმძღვანელობით „დატკბი ყოველი ღლით“ რადიო და სატელევიზიო პროგრამები მთელს მსოფლიოში გადაიცემა, იგი ბევრს მოგზაურობს და კონფერენციებს მართავს. ჯონისს და მის მეუღლეს დეივს ოთხი ზრდასრული შვილი ჰყავთ და სენტ ლუისში, მისურის შტატში ცხოვრობენ.

მიანდით თქვენი პრობლემები უფალს...

და იგი სიმშვიდესა და სიხარულს მოგანიჭებთ!



ცდილობთ შეუძლებელი გააკეთოთ? მთელს ძალ-ღონეს ხმარობთ, რომ თქვენს გარშემო მყოფი ადამიანები შეცვალოთ? ბედნიერი არ ხართ, რამეთუ იმ სულიერ დონეზე არ იმყოფებით, რომელზეც გსურთ ყოფნა? კარგავთ თუ არა სიმშვიდეს? თუ მშვიდობა არ გაქვთ, ცხოვრებით ვერ ისიამოვნებთ. ამ წიგნის მეშვეობით ჯოის მაიერი გაჩვენებთ, თუ როგორ მოიპოვოთ ძალაუფლება თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში...

ვიდრე შუა ქარიშხლის დროს სიმშვიდეს არ იპოვით.

იგი გასწავლით, თუ როგორ:

- დაელოდოთ ღმერთს და მის მიერ დაწესებულ ვადებს;
- აღმოაჩინოთ თქვენი „სიმშვიდის მომპარავი“, რომელიც გუნება-განწყობილობის გაფუჭებას იწვევს;
- მოიპოვოთ ძალა მშვიდ და ღმერთზე მინდობილ ვითარებაში;
- ყურადღება გაამახვილოთ დღევანდელი დღის მადლზე და არა ხვალისდელი დღის საზრუნავზე.

ღმერთის მშვიდობა ყოველგვარ გონებას აღემატება. იგი უსასყიდლოდ გექლევათ მისგან. მზად ხართ მიიღოთ ის?



JOYCE MEYER
MINISTRIES